



Register your new Bosch now:
**www.bosch-home.com/welcome**



BOSCH

# სარეცხი მანქანა
# WLG...

**ka** ინსტრუქციების სახლმძღვანელო და საინსტალაციო ინსტრუქციები

## თქვენი ახალი სარეცხი მანქანა

თქვენ აირჩიეთ Bosch ბრენდის სარეცხი მანქანა .

გთხოვთ , რამოდენიმე წუთი დაუთმოთ თქვენი სარეცხი მანქანის უპირატესობების გაცნობას .

Bosch ბრენდის მაღალი ხარისხის მაჩვენებლების უზრუნველსაყოფად , თითოეულმა სარეცხმა მანქანამ , ჩვენი ქარხნის დატოვებამდე , ფუნქციებისა და სრულყოფილი მდგომარეობის ზედმიწევნითი შემოწმება გაიარა .

ჩვენი პროდუქტების , აქსესუარების , სათადარიგო ნაწილებისა და მომსახურებების შესახებ დამატებით ინფორმაციას იხილავთ ჩვენს ვებგვერდზე www.bosch-home.com ან მიმართეთ ჩვენს კლიენტთა მომსახურების ცენტრებს .

თუკი საექსპლუატაციო და მონტაჟის ინსტრუქციები განსხვავებულ მოდელებს მოიცავს , შესაბამის ადგილებზე სხვაობა იქნება მითითებული .



სარეცხი მანქანა გამოიყენეთ მხოლოდ ამ საექსპლუატაციო და სამონტაჟო ინსტრუქციების წაკითხვის შემდეგ !

### ჩვენების წესები

**⚠ გაფრთხილება !**

სიმბოლოებისა და სასიგნალო სიტყვების ეს კომბინაცია , შესაძლო საშიშ სიტუაციებზე მიუთითებს . მისმა უგულვებელჰყოფამ შესაძლოა სიკვდილი ან დაზიანებები განაპირობოს .

**ყურადღება !**

ეს სასიგნალო სიტყვა შესაძლო საშიშ სიტუაციებზე მიუთითებს . უგულვებელჰყოფამ შესაძლოა მატერიალური და/ან გარემოს დაზიანება განაპირობოს .

**მითითება / რჩევა**

დანადგარის ოპტიმალური გამოყენების მითითებები / სასარგებლო ინფორმაციები .

**1. 2. 3. / a) b) c)**

სამოქმედო ნაბიჯები წარმოდგენილია ციფრებით ან ასოებით .

■ / -

ჩამონათვალი წარმოდგენილია გრაფის ან აბზაცის სახით .

# სარჩევი


**დანიშნულებისამებრივი გამოყენება . . . . 4**

**უსაფრთხოების მითითებები . . . 4**

ელექტრო უსაფრთხოება . . . . 4
დაზიანების საფრთხეები . . . . 5
ბავშვების უსაფრთხოება . . . . 5

**გარემოს დაცვა . . . . 7**

შეფუთვა / ძველი დანადგარი . . . . 7
დაზოგვის რჩევები . . . . 7

**დანადგარის გაცნობა . . . . 8**

სარეცხი მანქანა . . . . 8
საკონტროლო პანელი . . . . 9
მაჩვენებელი ეკრანი . . . . 10

**სარეცხი . . . . 11**

სარეცხის მომზადება . . . . 11
სარეცხის დახარისხება . . . . 11
გახამება . . . . 12
ღებვა / გათეთრება . . . . 12
დალბობა . . . . 12

**სარეცხი საშუალება . . . . 13**

სარეცხი საშუალების სწორი შერჩევა . . 13
ენერგიისა და სარეცხი საშუალების დაზოგვა . . . . 13

**პროგრამის ნაგულისხმევი პარამეტრები . . . . 15**

°C ტემპერატურა . . . . 15
გაწურვის ბრუნის რაოდენობა . . . . 15
Конец через ( მზად იქნება ) . . . . 15

**პროგრამის დამატებითი პარამეტრები . . . . 16**

Быстрая (speedPerfect) . . . . 16
Эко (ecoPerfect) . . . . 16
Вода плюс ( წყალი პლუს ) . . . . 16

**დანადგარის გამოყენება . . . . 17**

სარეცხი მანქანის მომზადება . . . . 17
პროგრამის არჩევა / დანადგარის ჩართვა . . . . 17
პროგრამის ნაგულისხმევი პარამეტრების შეცვლა . . . . 17
დამატებითი პროგრამის პარამეტრების არჩევა . . . . 17
სარეცხის დოლურაში მოთავსება . . . . 18
სარეცხი და მოვლის საშუალებების დოზირება და შევსება . . . . 18
პროგრამის ჩართვა . . . . 19
ბავშვების უსაფრთხოება . . . . 20
სარეცხის დამატება . . . . 20
პროგრამის შეცვლა . . . . 20
პროგრამის შეწყვეტა . . . . 20
პროგრამის დასრულება стоп полоскание ( გავლების შეჩერებით ) . 21
პროგრამის დასრულება . . . . 21
სარეცხის გამოღება / დანადგარის გამორთვა . . . . 21

**სიგნალის პარამეტრები . . . . 22**

**სენსორები . . . . 24**

ავტომატური აწონვა . . . . 24
დისბალანსის კონტროლის სისტემა . . 24
VoltCheck . . . . 24

**გაწმენდა და ტექნიკური მომსახურება . . . . 24**

მანქანის კორპუსი/საკონტროლო პანელი . . . . 25
სარეცხი დოლურა . . . . 25
ნადების მოშორება . . . . 25
გაწმინდეთ სარეცხი საშუალების უჯრა . . . . 25
სარეცხი წყლის ტუმბო გაჭედილია . . 26
გაჭედილია გადინების შლანგი სიფონთან . . . . 26
გაჭედილია წყლის გადინების ფილტრი . . . . 27

**ხარვეზები , როგორ მოვიქცეთ ?28**

მითითებები მაჩვენებელ ეკრანზე . . . 28
ხარვეზები , როგორ მოვიქცეთ ? . . . . 28

**კლიენტთა მომსახურების სამსახური . . . . 31**

**ტექნიკური მონაცემები . . . . 32**

**მონტაჟი და დაერთება . . . . 32**

მოწოდების მოცულობა . . . . 32

მონტაჟი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 33
საიმედო მონტაჟი. . . . . . . . . . . . . . . . . . 33
სამონტაჟო ზედაპირი. . . . . . . . . . . . . . 33
ხის პოდესტზე ან ფიცრულ იატაკზე მონტაჟი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 33
ტრანსპორტირების დამცავების მოხსნა . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 33
შლანგისა და გაყვანილობის სიგრძეები . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 34
წყლის შეერთება. . . . . . . . . . . . . . . . . . 35
წყლის დინება . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 35
წყლის გადინება . . . . . . . . . . . . . . . . . . 35
გადინება სარეცხ ავზში . . . . . . . . . . . . 36
გადინება სიფონში . . . . . . . . . . . . . . . . 36
გადინება პლასტმასის მილში რეზინის მანჟეტით ან არხით . . . . . . . . . . . . . . . 36
დაყენება. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 36
ელექტრული შეერთება . . . . . . . . . . . . 37
პირველ გარეცხვამდე . . . . . . . . . . . . . . 37
ტრანსპორტირება . . . . . . . . . . . . . . . . . 38
Aqua Stop Aquastop- გარანტია . . . . . . . . . . 39

# დანიშნულებისამებრივი გამოყენება

- მხოლოდ საყოფაცხოვრებო და სახლის გარემოში გამოყენებისათვის .
- სარეცხი მანქანა განკუთვნილია მანქანაში რეცხვადი ტექსტილისათვის და სარეცხ წყალში ხელით რეცხვადი შალისათვის .
- ცივი წყლითა და კომერციულად ხელმისაწვდომი , სარეცხი მანქანისათვის გათვალისწინებული სარეცხი და მოვლის საშუალებებით ექსპლუატაციისათვის .
- ყველა სარეცხი/-დამხმარე-/მოვლისა და გაწმენდის საშუალებების დოზირებისას , აუცილებლად გაითვალისწინეთ მწარმოებლის მითითებები და ინსტრუქციები .
- 8 წელზე უფროსი ასაკის ბავშვებისათვის , ისევე როგორც ფიზიკურად , სენსორულად თუ გონებრივად შეზღუდული პირებისა და მოხმარების ცოდნის სიმცირისა თუ გამოცდილების არ მქონე პირების მიერ დანადგარის გამოყენება დასაშვებია , მხოლოდ პასუხისმგებელი პირის მიერ შესაბამისი **ზედამხედველობით** და **ინსტრუქტაჟით** .
დაუშვებელია ზედამხედველობის გარეშე ბავშვების მიერ რაიმე სახის საწმენდი ან ტექნიკური სამუშაოების ჩატარება .
- მოარიდეთ სარეცხ მანქანას 3 წლამდე ასაკის ბავშვები .
- ამ დანადგარის გამოყენება დასაშვებია , ზღვის დონიდან მაქს . 4000 მეტრის სიმაღლეზე .
- შინაური ცხოველები მოარიდეთ სარეცხ მანქანას .

**დანადგარის ექსპლუატაციაში ჩაშვებამდე**წაიკითხეთ მოხმარებისა და მონტაჟის ინსტრუქციები და სხვა სარეცხ მანქანაზე თანდართული ინფორმაცია და იმოქმედეთ შესაბამისად .
შეინახეთ ყველა დოკუმენტი შემდგომი გამოყენებისათვის ან შემდგომი მფლობელისათვის .

# უსაფრთხოების მითითებები

## ელექტრო უსაფრთხოება

**⚠ გაფრთხილება**
**სიცოცხლისათვის საფრთხე !**
ძაბვის გამტარ ნაწილებთან კონტაქტისას წარმოიქმნება ელექტრო შოკის რისკი .
- არასოდეს შეეხოთ დენის შტეკერს სველი ხელებით .

- დენ მომარაგების გაყვანილობა მხოლოდ შტეკერთან გამოჰქაჩეთ და არასოდეს გაყვანილობასთან, რადგან ის შეიძლება დაზიანდეს .

## დაზიანების საფრთხეები

**⚠ გაფრთხილება**
**დაზიანების საფრთხე !**

- სარეცხი მანქანის შვერილი ნაწილებით აწევამ ( მაგ . შემავსებელი ფანჯარა ), შესაძლოა კომპონენტების მოტეხვა ან დაზიანებები განაპირობოს .
  არ ასწიოთ სარეცხი მანქანა შვერილი ნაწილებით .
- სარეცხ მანქანაზე აძრომამ , შესაძლოა სამუშო ზედაპირი გატეხოს და დაზიანებები გამოიწვიოს .
  ნუ აძვრებით სარეცხ მანქანაზე .
- გაღებულ შემავსებელ ფანჯარაზე დაყრდნობამ / ჩამოჯდომამ შესაძლოა სარეცხი მანქნა გადმოაყურავოს და დაზიანებები გამოიწვიოს .
  არ დაეყრდნოთ გაღებულ შემავსებელ ფანჯარას .
- მბრუნავ დოლურასთან შეხებას შეუძლია თქვენი ხელების დაზიანება გამოიწვიოს .
  არ შეეხოთ მბრუნავ დოლურას .
  დაელოდეთ , სანამ დოლურა ბრუნვას შეწყვეტს .

**⚠ გაფრთხილება**
**დაწვის საფრთხე !**
მაღალ ტემპერატურაზე რეცხვისას ცხელ ნარეცხ წყალთან კონტაქტმა , მაგალითად ცხელი ნარეცხი წყლის დრენირებისას სარეცხ ავზში , შესაძლოა დამწვრობა გამოიწვიოს .
არ შეეხოთ ცხელ ნარეცხ წყალს .

## ბავშვების უსაფრთხოება

**⚠ გაფრთხილება**
**სიცოცხლისათვის საფრთხე !**
სარეცხ მანქანასთან თამაშისას , ბავშვებს შეუძლიათ თავი სახიფათო სიტუაციაში ჩაიგდონ და საფრთხე შეუქმნან სიცოცხლეს .

- სარეცხი მანქანის სიახლოვეს არ დატოვოთ ბავშვები უყურადღებოთ !
- ნუ მისცემთ ბავშვს უფლებას ითამაშოს სარეცხი მანქანით !

**⚠ გაფრთხილება**
**სიცოცხლისათვის საფრთხე !**
ბავშვებს შეუძლიათ დანადგარში ჩაიკეტონ და თავი საფრთხეში ჩაიგდონ .
დიდი ხნის მოხმარებული დანადგარებისას :

- გამოსწიეთ ქსელის შტეკერი .
- ქსელის გაყვანილობა გამოაცალკევეთ და შტეკერისაგან გამოათვისუფლეთ .
- გატეხეთ შემავსებელი ფანჯრის საკეტი .

**⚠ გაფრთხილება**
**დახრჩობის საფრთხე !**
ბავშვებს შეუძლიათ თამაშისას შეფუთვაში / პარკებში და შეფუთვის ნაწილებში გაეხვიონ და ის თავზე გადაიცვან და გაიგუდონ .
შეფუთვა , პარკები და შეფუთვის ნაწილები ბავშვებისაგან შორს შეინახეთ .

**⚠ გაფრთხილება**
**მოწამვლის საფრთხე !**
სარეცხი და მოვლის საშუალებების მიღებას შეუძლია მოწამვლა გამოიწვიოს .
სარეცხი და მოვლის საშუალებები ბავშვებისათვის მიუწვდომელ ადგილზე შეინახეთ .

**⚠ გაფრთხილება**
**თვალების -/ კანის გაღიზიანება !**
სარეცხ და მოვლის საშუალებებთან კონტაქტმა შესაძლოა თვალების / კანის გაღიზიანება გამოიწვიოს .
სარეცხი და მოვლის საშუალებები ბავშვებისათვის მიუწვდომელ ადგილზე შეინახეთ .

**⚠ გაფრთხილება**
**დაზიანების საფრთხე !**
მაღალი ტემპერატურით რეცხვისას , შემავსებელი ფანჯრის შუშა ცხელია .
მოარიდეთ ბავშვები ცხელ შევსების ფანჯარას .

# გარემოს დაცვა

## შეფუთვა / ძველი დანადგარი

შეფუთვის გარემოს დაცვით გადაყრა .
ეს დანადგარი აღნიშნულია ელექტრო და ელექტრული ძველი დანადგარების ( ელექტრო ნარჩენები და ელექტრონული აღჭურვილობები WEEE) ევროპის 2012/19/EU რეგულაციების შესაბამისად .
ევროპის ფარგლებში , ეს რეგულაციები იძლევა ძველი დანადგარების უკან დაბრუნებისა და შეფასების საშუალებას .

## დაზოგვის რჩევები

- სრულად გამოიყენეთ თითოეული პროგრამისათვის სარეცხის ოდენობა . პროგრამის მიმოხილვის ⟶ თანდართული ფურცელი ექსპლუატაციისა და ინტრუქციისათვის
- ნორმალურად დაბინძურებული სარეცხი, წინასწარი რეცხვსის გარეშე.
- არჩევადი ტემპერატურა უკავშირდება ტექსტილის მოვლის ეტიკეტზე მითითბულ ნიშნულებს . ენერგიის გამოყენებისა და რეცხვის საუკეთესო შედეგის კომბინაციის მიღებისათვის , მანქანაში არსებული ტემპერატურები , შეიძლება ამისაგან ვარირებდეს .
- **ენერგიის დაზოგვის რეჟიმი** : მაჩვენებელი ეკრანის განათება , რამოდენიმე წუთში ქვრება , ციმციმებს ჩრთვის ღილაკი . განათების აქტივაციისათვის , აირჩიეთ სასურველი ღილაკი . ენერგიის დაზოგვის რეჟიმი არ გააქტიურდება , სანამ პროგრამა მიმდინარეობს .
- თუ სარეცხი , ბოლოს საშრობში უნდა მოთავსედეს , ბრუნის რაოდენობისათვის მიმართეთ საშრობის მწარმოებლის ინსტრუქციას .

# დანადგარის გაცნობა

## სარეცხი მანქანა




| | |
|---|---|
| 1 | სარეცხი საშუალების უჯრა *** ' სარეცხი და მოვლის საშუალებების დოზირება და შევსება ' on page 18 *** |
| 2 | მომსახურე -/ მაჩვენებელი ეკრანი *** ' საკონტროლო პანელი ' on page 9 *** |
| 3 | შევსების ფანჯარა ფენჯრის სახელურით |
| 3a | შევსების ფანჯრის გაღება |
| 3b | შევსების ფანჯრის დახურვა |
| 4 | მომსახურე ხუფი |

## საკონტროლო პანელი

მიმოხილვაში იხილავთ შესაძლო პროგრამის პარამეტრებს და დამატებითი პროგრამის პარამეტრებს . აღნიშნულნი ვარირებს მოდელის შესაბამისად .







1 **პროგრამის წინასწარი პარამეტრების**შეცვლა შესაძლებელია
ყველა პროგრამის პარამეტრის მიმოხილვა *** 'P+ პროგრამის ნაგულისხმევი პარამეტრები ' on page 15 ***

2 შესაძლებელია არჩეულ იქნას **დამატებითი პროგრამის პარამეტრები**
ყველა პროგრამის პარამეტრის მიმოხილვა *** 'P+ პროგრამის დამატებითი პარამეტრები' on page 16 ***

3 პროგრამის ჩართვის , შეწყვეტის ( მაგ . სარეცხის დამატების ) და პროგრამის გამორთვისათვის დააჭირეთ **ჩართვის ღილაკს**

4 **მაჩვენებელი**პარამეტრებისა და ინფორმაციებისათვის

5 **პროგრამის ამომრჩეველი** , პროგრამის შერჩევისა და სარეცხი მანქანის ჩართვა / გამორთვისათვის

## მაჩვენებელი ეკრანი

ცხრილში იხილავთ მაჩვენებელი ეკრანის შესაძლო პარამეტრებსა და ინფორმაციას , რომელიც მოდელის შესაბამისად შესაძლოა განსხვავებული იყოს .




| შერჩეული პროგრამის პარამეტრები | | |
|---|---|---|
| Cold - 90* | ტემპერატურა °C | ტემპერატურა (cold= ცივი ) |
| - - - - 1200* | გაწურვის ბრუნის რაოდენობა ბ / წთ - ში ( ბრუნი ერთ წუთში ) | გაწურვის ბრუნის მაქსიმალური რაოდენობა ან - - - ( გავლების გაჩერება = გაწურვის გარეშე , სარეცხი დარჩება წყალში ბოლო გავლების შემდეგ ) |
| 1:30<br>1 - 24 | პროგრამის ხანგრძლივობა<br>Конец через ( მზად იქნება) სთ-ში (საათში) | პროგრამის შერჩევის მიხედვით ს : წთ - ში ( საათი : წუთი )<br>პროგრამის დასრულება ...- ის შემდეგ საათი |
| 5.0* | დატვირთვა კგ | მაქსიმალური დატვირთვა |
| * მოდელის შესაბამისად | | |

| სტატუსის მაჩვენებელი პროგრამის მიმდინარეობისათვის ( პროგრამის მიმდინარეობა ) | |
|---|---|
| Конец ( დასრულება ) | რეცხვა , გავლება , გაწურვა პროგრამის ხანგრძივობა ან დასრულება |
| | გახსენით შემავსებელი ფანჯარა დაამატეთ სარეცხი *** ' სარეცხის დამატება ' on page 20 *** |
| | ბავშვების უსაფრთხოება *** ' ბავშვების უსაფრთხოება ' on page 20 *** |

# სარეცხი

## სარეცხის მომზადება

**ყურადღება !**
**დანადგარის / ტექსტილის დაზიანება**
უცხო სხეულებს (მაგ. ხურდები, ოფისის სამაგრები , ლურსმნები და ნემსები ) შეუძლიათ სარეცხის ან სარეცხი მანქანის ქარხნული ნაწილების დაზიანების გამოწვევა .

ამიტომ სარეცხის მომზადებისას საჭიროა ყურადღება გაამახვილოთ შემდეგზე :

- დაცალეთ ჯიბეები .



- ყურადღება მიაქციეთ მეტალებს ( ოფისის სამაგრები და სხვა ) და ამოიღეთ ისინი .
- მგრძნობიარე ტექსტილი ( კოლგოტები , ბიუსტჰალტერები და სხვ .) სარეცხის ბადით / ტომრით გარეცხეთ .
- დაკეტეთ ელვა და შეკარით ღილები .
- გადმოფერთხეთ ქვიშა ჯიბეებიდან და მანჟეტებიდან .
- მოხსენით ფარდის სამაგრები ან ჩადეთ ის ბადე / ტომარაში .

## სარეცხის დახარისხება

დაახარისხეთ თქვენი სარეცხი მოვლის მითითებებისა და მოვლის ეტიკეტზე მწარმოებლის მითითებების შესაბამისად :

- ქსოვილი -/ ძაფის ტიპი
- ფერი
  **მითითება :** სარეცხმა შეიძლება ფერი იცვალოს ან არასაკმარისად გასუფთავდეს. ცალ-ცალკე გარეცხეთ თეთრი და ფერადი სარეცხი .
  ახალი ფერადი სარეცხი პირველად ცალკე გარეცხეთ .
- დაბინძურება
  მსგავსი დაბინძურების ხარისხის სარეცხი ერთად გარეცხეთ .
  დაბინძურების ხარისხის რამოდენიმე მაგალითი შეგიძლიათ იხილოთ თავში *** ' ენერგიისა და სარეცხი საშუალების დაზოგვა ' on page 13 ***
  – **მსუბუქი** : წინასწარი რეცხვის გარეშე, საჭ.შემთხვევაში აირჩიეთ პროგრამის დამატებითი პარამეტრებით ⏱ (Speed(быстро[ სწრაფი ]/ быстро( სწრაფი )) რეცხვა ).
  – **ნორმალური**
  – **ძლიერი** : მოათავსეთ ნაკლები სარეცხი , აირჩიეთ პროგრამა Предв. стирка ( წინასწარი რეცხვით ).
  – **ლაქები** : ლაქები მოაშორეთ / დაამუშავეთ, სანამ ისინი ახალია. დაასხით საპნიანი წყალი / არ შეაზილოთ . სარეცხი შემდეგ , შესაბამის პროგრამაში გარეცხეთ . ძნელად ამოსაყვანი / გამშრალი ლაქები ხანდახან მხოლოდ მრავლობითი რეცხვის შედეგად ქრება .

- სიმბოლოები მოვლის ეტიკეტზე
  მითითება : ციფრები და სიმბოლოები , მაქსიმალურ დასაშვებ ტემპერატურას მიუთითებენ .

  | | |
  |---|---|
  | ⌴ | ნორმალური რეცხვის პროცესისათვის შესაბამისი ; მაგ : პროგრამა Хлопок ( ბამბა ) |
  | ⌴ | სასურველია ნაზი რეცხვის პროცესი ; მაგ : პროგრამა Синтетика ( იოლად მოსავლელი ) |
  | ⌴ | რეკომენდირებულია განსაკუთრებით ნაზი რეცხვის პროცესი ; მაგ . პროგრამა Тонкое бельё/Шёлк ( ნაზი / აბრეშუმი ) |
  | ⌴ | ხელით რეცხვისათვის განკუთვნილი , მაგ . პროგრამა Шерсть ( შალი ) |
  | ⌴ | სარეცხ მანქანაში რეცხვისათვის შეუსაბამო . |

## გახამება

მითითება : სარეცხს ნუ გარეცხავთ სავლებ საშუალებაში .

გაძლიერება შესაძლებელია გავლებისა და ბამბის პროგრამირებისას სითხის სიძლიერით . სიძლიერე დააყენეთ მწარმოებლის მონაცემების შესაბამისად ❀ ( საჭ . შემთხვევაში წინასწარ გაასუფთავეთ ).

## ღებვა / გათეთრება

შეღებეთ მხოლოდ ჩვეული საყოფაცხოვრებო ოდენობა . მარილს შეუძლია მეტალის დაზიანება ! გაითვალისწინეთ საღებავის მწარმოებლის მითითებები .

სარეცხი **არ** გაათეთროთ სარეცხ მანქანაში !

## დალბობა

1. დამარბილებელი-/სარეცხი საშუალება მწარმოებლის მონაცემების მიხედვით კამერაში დაამატეთ **II.**
2. პროგრამის ამომრჩევით პროგრამა Хлопок ( ბამბაზე ), 40 °C- ზე დააყენეთ .
3. ჩართვის ღილაკი ამოირჩიეთ პროგრამის გაშვებისათვის .
4. დაახლოებით 10 წუთის შემდეგ , განმეორებით დააჭირეთ ჩართის ღილაკს შეჩერების მიზნით .
5. სასურველი დალბობის დროის შემდეგ , დააჭირეთ ჩართვის ღილაკს , როდესაც გსურთ პროგრამის გაგრძელება , ან მისი ცვლილება .

### მითითებები

- განათავსეთ ერთი ფერის სამოსი .
- არ არის საჭირო დამატებითი სარეცხი საშუალება , დასალბობი საშუალება გამოიყენება სარეცხი მიზნითად .

# სარეცხი საშუალება

## სარეცხი საშუალების სწორი შერჩევა

სარეცხი საშუალების , ტემპერატურისა და სარეცხთან სწორი ქმედებების არჩევისათვის , გამოიყენეთ მოვლის ეტიკეტი .

- **სარეცხი საშუალება ოპტიკური გამღიავებლით**
  განკუთვნილია მყარი , თეთრი სარეცხისათვის , ტილოს ან ბამბის შემადგენლობით
  მაგ : პროგრამა Хлопок ( ბამბა ) / ცივი - მაქს .90°C
- **ფერადი სარეცხი საშუალება მათაეთრებლისა ოპტიკური გამღიავებლის გარეშე**
  განკუთვნილია ფერადი სარეცხისათვის , ტილოს ან ბამბის შემადგენლობით
  მაგ : პროგრამა Хлопок ( ბამბა ) / ცივი - მაქს . 60°C
- **ფერადი -/ ნაზი სარეცხი საშუალება ოპტიკური გამღიავებლის გარეშე**
  განკუთვნილია ფერადი , იოლად მოვლადი ქსოვილის სარეცხისათვის , სინთეტიკისათვის
  პროგრამა: Синтетика (იოლი მოვლა) / ცივი - მაქს . 60°C
- **ნაზი სარეცხი საშუალება**
  განკუთვნილია ნაზი ტექსტილისათვის , აბრესუმი ან ვისკოზა
  პროგრამა : Тонкое бельё/Шёлк ( ნაზი / აბრეშუმი ) / ცივი - მაქს . 40°C
- **შალის სარეცხი საშუალება**
  განკუთვნილია შალისათვის
  პროგრამა : Шерсть ( შალი ) / ცივი - მაქს . 40°C

## ენერგიისა და სარეცხი საშუალების დაზოგვა

მსუბუქად და ნორმალურად დაბინძურებული სარეცხისას , თვენ შეგიძლიათ დაზოგოთ ენერგია ( რეცხვის ტემპერატურის შემცირება ) და სარეცხი საშუალება :

| დაზოგვა | დაბინძურება / მითითება |
|---|---|
| შემცირებული ტემპერატურა და სარეცხი საშუალების დოზირება ლტ . რჩევა დოზირების შესახებ | **მსუბუქი**<br>ჭუჭყი და ლაქები არ არის ხილვადი . ტანსაცმელს მიღებული აქვს სხეულის სუნი , მაგ .:<br>■ მსუბუქი ზაფხულის - / სპორტული ტანსაცმელი ( ჩაცმული რამოდენიმე საათით )<br>■ მაისურები , პერანგები, ბლუზები, (1 დღემდე ნაცვამი )<br>■ სტუმრების საწოლის თეთრეული და - პირსახოცები (1 დღით გამოყენებული ) |
| | **ნორმალური**<br>ხილული დაბინძურება / ან მცირე , მსუბუქი ლაქები , მაგ .:<br>■ მაისურები , პერანგები , ბლუზები ( გაოფლილი , რამოდენიმეჯერ ნაცვამი )<br>■ პირსახოცები , თეთრეული (1 კვირამდე გამოყენებული ) |
| ტემპერატური ს , მოვლის ეტიკეტისა და სარეცხი საშუალების ოდენობის დოზირების რჩევები / ძლიერი დაბინძურება | **ძლიერი**<br>დაბინძურება და / ან ლაქები ცალსახად შესამჩნევია , მაგ . ჭურჭლის ხელსახოცები , ბავშვის სარეცხი , პროფესიული ტანსაცმელები |

**მითითება :** ყველა სარეცხი /- დამხმარე -/ მოვლისა და გაწმენდის საშუალებების დოზირებისას , გთხოვთ აუცილებლად გაითვალისწინეთ მწარმოებლის მითითებები და ინსტრუქციები . *** ' სარეცხი და მოვლის საშუალებების დოზირება და შევსება ' on page 18 ***

# P+ პროგრამის ნაგულისხმევი პარამეტრები

მითითება : მიმოხილვაში იხილეთ პროგრამის შესაძლო პარამეტრები , რომლებიც მოდელის მიხედვით განსხვავდებიან .

პროგრამის წინასწარი პარამეტრები ქარხნულად ყენდება ყველა პროგრამისათვის და პროგრამის შერჩევისას ჩანს .

## °C ტემპერატურა

( ტემპერატურა ტემპ . ° C)

პროგრამამდე და მისი მიმდინარეობისას, პროგრამის მიმდინარეობის შესაბამისად შეგიძლიათ წინასწარ დაყენებული ტემპერატურის (° C) ცვლილება .

ამისათვის აირჩიეთ შესაბამისი ღილაკი იმდენჯერ , სანამ არ გამოჩნდება სასურველი პარამეტრი .

მაქსიმალური დაყენებადი ტემპერატურა დამოკიდებულია შერჩეულ პროგრამაზე .

პროგრამის მიმოხილვის ⟶ თანდართული პურცელი ექსპლუატაციისა და ინტრუქციისათვის

## ⑥ გაწურვის ბრუნის რაოდენობა

( გაწურვის ბრუნვის ოდენობა )

პროგრამამდე და მისი მიმდინარეობისას, პროგრამის მიმდინარეობის შესაბამისად შეგიძლიათ შეცვალოთ გაწურვის ბრუნის რაოდენობა ( ბ / წთ , ბრუნი წუთში ).

ამისათვის აირჩიეთ შესაბამისი ღილაკი იმდენჯერ , სანამ არ გამოჩნდება სასურველი პარამეტრი .

პარამეტრი - - - : გავლების შეწყვეტა = გაწურვის დასრულების გარეშე, სარეცხი ბოლოო გავლების შემდეგ რჩება წყალში . გავლების შეჩერება შეგიძლიათ აირჩიოთ კვანძების თავიდან აცილების მიზნით , როდესაც პროგრამის დასასრულს სარეცხის გამოღებას ვერ ახერხებთ .

გაწურვის ბრუნის მაქსიმალური ოდენობა დამოკიდებულია პროგრამასა და მოდელზე .

პროგრამის მიმოხილვის ⟶ თანდართული პურცელი ექსპლუატაციისა და ინტრუქციისათვის

## Конец через ( მზად იქნება )

( მზაობა )

პროგრამის არჩევისას , გამოჩნდება შესაბამისი პროგრამის ხანგრძლივობა .

პროგრამის ხანგრძილოოვობა მიმდინარე პროგრამას ავტომატურად მოერგება . პროგრამის პარამეტრების ცვლილება , მაგალითდ დამატებით პროგრამის პარამეტრებს შეუძლიათ პროგრამის ხანგრძლივობის ცვლილება გამოიწვიონ .

პროგრამის დაწყების წინ , პროგრამის დასრულების პერიოდი ( გამზადების დროო ) შესაძლებელია საათობრივად ( სთ = საათი ) მაქსიმუმ 24 სთზე დაყენდეს .

ამისათვის აირჩიეთ შესაბამისი ღილაკი იმდენჯერ , სანამ არ გამოჩნდება სასურველი პარამეტრი .

მითითება : პროგრამის ხანგრძლივობა გამოვლინდება დაყენებული გამზადების დროს მაჩვენებლით .

დაწყების შემდეგ , გამოჩნდება წინასწარ შერჩეული დროო , მაგალითად **8 სთ** და დაიწყებს უკუთვლას , სანამ სარეცხი პროგრამა გაიშვება . ამის შემდეგ პროგრამის ხანგრძლივობაზე გამოჩნდება მაგ : **2:30**( საათი : წუთი ).

**წინასწარ შერჩეული დროის ცვლილება :**
წინასწარ შერჩეული დრო , პროგრამის დაწყებამდე შემდეგნაირად შეგიძლიათ შეცვალოთ :
1. დაწყების ღილაკის არჩევა .
2. მზადყოფნის ◷ ღილაკს იმდენჯერ დააჭირეთ , სანამ საათების სასურველი რაოდენობა არ გამოჩნდება .
3. დაწყების ღილაკის არჩევა .

**წინასწარ შერჩეული დროის მანძილზე დაამატეთ სარეცხი :**
1. დაწყების ღილაკის არჩევა .
2. მაჩვენებელზე განათდება**დიახ**და ⓘ. შეგიძლიათ გააღოთ შემავსებელი ფანჯარა და დაამატოთ სარეცხი .
3. დახურეთ შემავსებელი ფანჯარა .
4. დაწყების ღილაკის არჩევა . წინასწარ შერჩეული დრო გაგრძელდება .

# P+ პროგრამის დამატებითი პარამეტრები

მითითება : მიმოხილვაში იხილავთ შესაძლო დამატებითი პროგრამის პარამეტრებს , რომელიც მოდელის მიხედვით განსხვავდება .

## Быстрая (speedPerfect)

(speedPerfect, Speed, TimePerfect)

მოკლე დროში გარეცხვისათვის , სტანდარტულ პროგრამასთან შედარებადი გარეცხვის მოქმედებისათვის .

მითითება : ნუ გადააჭარბებთ მაქსიმალურ დატვირთვას .

პროგრამის მიმოხილვის ⟶ თანდართული პურცელი ექსპლუატაციისა და ინტრუქციისათვის

## Эко (ecoPerfect)

(ecoPerfect, Eco, EcoPerfect)

ენერგოოპტიმირებული რეცვა ტემპერატურის შემცირებითა და რეცხვის შედარებადი ეფექტით .

მითითება : გარეცხვის ტემპერატურა დაბალია შერჩეულ ტემპერატურაზე . განსაკუთრებით ჰიგიენური მოთხოვნების შემთხვევაში , გირჩევთ გამოიყენოთ ჰიგიენა / ალერგია / მგრძნობიარე პროგრამა . თუ კი არ გააჩნია Чувствительная ( ჰიგიენა / ალერგია / მგრძნობიარე ) პროგრამა თქვენს პროგრამის ამომრჩეველს , აირჩიეთ მაღალი ტემპერატურა ან დამატებითი პროგრამის პარამეტრი Быстрая (speed Perfect).

## Вода плюс ( წყალი პლუს )

(Вода плюс [ წყალი პლუს ])

წყლის მომატებული რაოდენობა და დამატებითი გავლება , გახანგრძლივებული რეცვის დრო . რეგიონებისათვის , ძალიან რბილი წულით ან გავლების შედეგების შემდგომი გაუმჯობესებისათვის .

# დანადგარის გამოყენება

**მითითება :** სარეცხი მანქანა **სათანადოდ დააყენეთ** და **შეაერთეთ** . *** ' მონტაჟი და დაერთება ' on page 32 ***
პირველ გარეცხვამდე, ერთხელ**სარეცხის გარეშე** გარეცხეთ . *** ' პირველ გარეცხვამდე ' on page 37 ***

## სარეცხი მანქანის მომზადება

**მითითებები**
- არასოდეს ჩართოთ დაზიანებული სარეცხის მანქანა !
- შეატყობინეთ კლიენტთა მომსახურების სამსახურს ! *** ' კლიენტთა მომსახურების სამსახური' on page 31 ***

1. შეაერთეთ ქსელის შტეკერი .
2. გახსენით წყლის ონკანი .
3. გახსენით შემავსებელი ფანჯარა .
4. შეამოწმეთ სრულფასოვნად არის თუ არა დაცლილი ბარაბანი . საჭიროების შემთხვევაში დაცალეთ ის .





## პროგრამის არჩევა / დანადგარის ჩართვა

**მითითება :** თუ ჩართული გაქვთ ბავშვების უსაფრთხოების რეჟიმი , პროგრამის დაყენებამდე , გთხოვთ გამორთოთ ის .

პროგრამის შემრჩევის მეშვეობით , ამოარჩიეთ თქვენთვის სასურველი პროგრამა . მოტრიალება შესაძლებელია ორივე მიმართულებით .

სარეცხი მანქანა ჩართულია .

მონიტორზე უწყვეტად გამოჩნდება შერჩეული პროგრამის შემდეგი მაჩვენებლები :

- პროგრამის ხანგრძლივობა ,
- წინასწარ დაყენებული ტემპერატურა * ( მოდელის შესაბამისად ),
- წინასწარ დაყენებული გაწურვის ბრუნის რაოდენობა და
- მაქსიმალური დატვირთვა .

## პროგრამის ნაგულისხმევი პარამეტრების შეცვლა

თქვენ შეგიძლიათ გამოიყენოთ პროგრამის ნაგულისხმევი პარამეტრები ან შეცვალოთ ისინი .

ამისათვის აირჩიეთ შესაბამისი ღილაკი იმდენჯერ , სანამ არ გამოჩნდება სასურველი პარამეტრი .

პარამეტრები აქტიურია დადასტურების გარეშე . ისიინი აქტიური რჩებიან დანადგარის გამორთვის შემდეგაც კი .

პროგრამის ნაგულისხმევი პარამეტრები *** 'P+ პროგრამის ნაგულისხმევი პარამეტრები ' on page 15 ***

## დამატებითი პროგრამის პარამეტრების არჩევა

დამატებითი პარამეტრების არჩევის საშუალებით , რეცხვის პროცესი კიდევ უფრო მეტად შეგიძლიათ მოარგოთ თქვენს სურვილებს .

პარამეტრები შესაძლოა შეირჩეს ან შეიცვალოს პროგრამის მიმდინარეობის შესაბამისად .

როდესაც პარამეტრები აქტიურია , გაანათებს ღილაკების მაჩვენებელი ნათურები . პარამეტრები აქტიური რჩებიან დანადგარის გამორთვის შემდეგაც კი .

პროგრამის დამატებითი პარამეტრები *** 'P+ პროგრამის დამატებითი

პარამეტრები ' on page 16 ***

## სარეცხის დოლურაში მოთავსება

⚠ **გაფრთხილება**

**სიცოცხლისათვის საფრთხე !**

გამხსნელის შემადგენლობის მქონე სარეცხი საშუალებებით დამუშავებული სარეცხით გავსებამ , მაგალითად , ლაქების მოსაშორებელით / სარეცხი ბენზინით , შესაძლოა აფეთქება გამოიწვიოს .
სარეცხი მანამდე ხელით კარგად გაავლეთ .

### მითითებები

- აურიეთ დიდი და პატარა სარეცხი . გაწურვისას დიდი და პატარა სარეხი უკეთესად ნაწილდება . ცალკეულ სარეცხს შეუძლია დისბალანსი გამოიწვიოს .
- ყურადღება მიაქციეთ მითითებულ მაქსიმალურ დატვირთვას . გადატვირთვა ამცირებს სარეცხ შედეგს და ხელს უწყობს კვანძების წარმოქმნას .

1. წინასწარ სორტირებული სარეცხი ერთმანეთისაგან გამოცალკევებულად მოათავსეთ სარეცხ ბარაბანში .
2. ყურადღება მიაქციეთ , რომ შემავსებელ ფანჯარასა და რეზინის მანჟეტს შორის ტანსაცმელი არ ჩარჩეს .





3. დახურეთ შემავსებელი ფანჯარა .




საწყისი ღილაკის მაჩვენებელი სანათი ციმციმებს და ეკრანზე გამოჩნდება წინასწარ დაყენებული პროგრამის მიმდინარე პარამეტრი . შესაძლებელია წინასწარ დაყენებული პარამეტრების ცვლილება .

## სარეცხი და მოვლის საშუალებების დოზირება და შევსება

### ყურადღება !
### დანადგარის დაზიანება

საწმენდი და სარეცხის წინასწარ დასამუშვებელ საშუალებებს ( მაგ : ლაქების ამომყვანი , წინსაწარ დასასხამი აეროზოლები , ...) ზედაპირზე კონტაქტისას , სარეცხი მანქანის დაზიანება შეუძლიათ განაპირობონ . ეს მეტალი არ მოიყვანოთ სარეცხი მანქანის ზედაპირებთან კონტაქტში . საჭიროების შემთხვევაში გაწმინდეთ აეროზოლისა და სხვა ნაწილაკების / წვეთებისაგან სველი ჩვრით .

### დოზირება

აწარმოეთ სარეცხი და საწმენდი საშუალებების შესაბამისი დოზირება :

- წყლის სიხისტე ( შეიტყვეთ თქვენს წყალმომარაგების კომპანიაში )
- შეფუთვაზე მწარმოებლის მონაცემები
- სარეცხის რაოდენობა
- დაბინძურება

**შევსება**

1. გამოსწიეთ სარეცხი საშუალების უჯრა .

   ⚠ **გაფრთხილება**

   **თვალების -/ კანის გაღიზიანება !**

   ექსპლუატაციისას სარეცხი უჯრის გამოღებამ შესაძლოა სარეცხი -/ მოვლის საშუალების გარეთ გადმოშხეფება გამოიწვიოს . ფრთხილად გახსენით უჯრა . სარეცხ -/ მოვლის საშუალებასთან კონტაქტის შემთხვევაში თვალები და კანი საფუძვლიანად დაიბანეთ . უნებლიე გადაყლაპვის შემთხვევაში, მიმართეთ ექიმის კონსულტაციას .
2. სარეცხი და / ან მოვლის საშუალებებით შევსება .



| | |
|---|---|
| კამერა **I** | სარეცხი საშუალება წინასწარი რეცხვისათვის |
| კამერა ❀ | სავლები , სახამებელიოლ მაქსიმუმს არ გადააჭარბოთ |
| კამერა **II** | სარეცხი საშუალება ძირითადი რეცხვისათვის , სახამებელით , მათეთრებლით , ლაქების მარილით |

**მითითებები**

– ყველა სარეცხი /- დამხმარე -/ მოვლისა და გაწმენდის საშუალებების დოზირებისას , აუცილებლად გაითვალისწინეთ მწარმოებლის მითითებები და ინსტრუქციები .
– სქელი კონსისტენციის დამარბილებელი და ფორმირებადი სავლებები წყლით დაათხელეთ . ეს თავიდან აგაცილებთ გაჭედვებს .
– ჩაასხით თხევადი სარეცხი საშუალება შესაბამის დოზირების რეზერვუარში და მოათავსეთ ის დოლურაში .

## პროგრამის ჩართვა

აირჩიეთ ჩართვის ღილაკი . გაანათებს მაჩვენებელი და პროგრამა ჩაირთვება .

მაჩვენებელ ღილაკზე პროგრამის მიმდინარეობისას გამოჩნდება გამზადების დრო , მაგ პროგრამის ხანგრძლივობა , სარეცხი პროგრამის დაწყების წინ და პროგრამის მიმდინარეობის შესაბამისი სიმბოლო . მაჩვენებელი ეკრანი *** ' მაჩვენებელი ეკრანი ' on page 10 ***

**მითითება :** თუ გსურთ , პროგრამა უნებლიე გადართვისაგან დაიცვათ , დააყენეთ ბავშვების უსაფრთხოება შემდეგნაირად .

## ბავშვების უსაფრთხოება

თქვენ შეგიძლიათ სარეცხი მანქანა დაიცვათ პარამეტრების ფუნქციის უნებლიე ცვლილებებისაგან . ამასთან , პროგრამის ტიპის მიხედვით , გააქტიუროთ ბავშვების უსაფრთხოების რეჟიმი .

აქტივირების / დეაქტივირებისათვის , დაახლოებით 5 წამის მანძილზე დააწირეთ დაწყების ღილაკს . ეკრანზე გამოჩნდება სიმბოლო .

- ციმციმებს : ბავშვების უსაფრთხოების რეჟიმი აქტიურია .
- ციმციმებს : ბავშვების უსაფრთხოება აქტიურია და გადაყენებული იქნა პროგრამის ამომრჩეველი . პროგრამის შეწყვეტის თავიდან აცილებისათვის , დააყენეთ პროგრამის ამომრჩეველი ისევ გამოსვლის პროგრამაზე . სიმბოლო ისევ გაანათებს .

**მითითება :** ბავშვების უსაფრთხოება შესაძლებელია შემდეგი პროგრამის დაწყებამდე აქტიური დარჩეს , სარეცხი მანქანის გამორთვის შემდეგაც კი . ამის შემდეგ , პროგრამის დაწყებამდე უნდა გამორთოთ ბავშვების უსაფრთხოება და პროგრამის გაშვების შემდეგ საჭიროებისამებს ხელახლა ჩართოთ .

## სარეცხის დამატება

პროგრამის დაწყების შემდეგ , სურვილისამებრ შეგიძლიათ დაამატოთ ან გამოიღოთ სარეცხი .

ამისათვის , აირჩიეთ დაწყების ღილაკი . სარეცხი მანქანა შეამოწმებს დამატების შესაძლებლობას .

თუ მაჩვენებელ ეკრანზე :

- **ორივე** სიმბოლო **დიახ** და ანათებს , დამატება შესაძლებელია .
- **არა** და განათებისას , დაელოდეთ სანამ **დიახ** და ანათებს . შემავსებელი ფანჯარა მას შემდეგ გააღეთ , რაც **ორივე** სიმბოლო **დიახ** და გაანათებს .
- **არა** განათების შემთხვევაში დამატება არ არის შესაძლებელი .

**მითითებები**

- წყლის მაღალი დონისას , მაღალი ტემპერატურის ან მბრუნავი ბარაბნისას , უსაფრთხოების მიზნით იბლოკება შემავსებელი ფანჯარა და დამატება აღარ არის შესაძლებელი . პროგრამის გაგრძელებისათვის დააჭირეთ დაწყების ღილაკს .
- შემავსებელი ფანჯარა არ დატოვოთ ღია დიდი ხნით - შესაძლოა მოხდეს წყლის გადმოსვლა .

## პროგრამის შეცვლა

თუკი თქვენ შეცდომით არასწორი პროგრამა ჩართეთ , ის შემდეგნაირად შეგიძლიათ შეცვალოთ :

1. შეჩერებისათვის აირჩიეთ ჩართვის ღილაკი .
2. სხვა პროგრამის ამორჩევა .
3. ჩართვის ღილაკი ამოირჩიეთ პროგრამის გაშვებისათვის . ახალი პროგრამა დაიწყება თავიდან .

## პროგრამის შეწყვეტა

მაღალი ტემპერატურის პროგრამებისას :

1. ჩართვის ღილაკი აირჩიეთ შეჩერებისათვის .
2. გააგრილეთ სარეცხი : აირჩიეთ გავლების პროგრამა .
3. დაწყების ღილაკის არჩევა .

დაბალი ტემპერატურის პროგრამებისას :
1. ჩართვის ღილაკი აირჩიეთ შეჩერებისათვის .
2. ⑥ Отжим ( გაწურვა )/**Слив (გამოტუმბვა)** ⇩ აირჩიეთ (როდესაც გსურთ მხოლოდ გატუმბვა : ბ / წთ ( გაწურვის ბრუნის რაოდენობა ) - - - ზე დააყენეთ ).
3. ხელახლა აირჩიეთ ჩართვის ღილაკი .

## პროგრამის დასრულება стоп полоскание ( გავლების შეჩერებით )

მაჩვენებელ ეკრანზე გამოჩნდება - - - და გაანათებს ჩართვის ღილაკის მაჩვენებელი ნათურა .

პროგრამის დასრულებისათვის :
1. ⑥ Отжим ( გაწურვა )/**Слив (გამოტუმბვა)** ⇩ აირჩიეთ (როდესაც გსურთ მხოლოდ გატუმბვა : ბ / წთ ( გაწურვის ბრუნის რაოდენობა ) - - - ზე დააყენეთ ).
2. დაწყების ღილაკის არჩევა .

## პროგრამის დასრულება

მაჩვენებელ ეკრანზე გამოჩნდება **Конец ( დასრულება )**.

მაჩვენებელ ეკრანზე , დამატებით ⛀ სიმბოლოს გამოჩენის შემთხვევაში , სარეცხმა მანქანამ რეცხვისას ჭარბი ქაფი ამოიცნო და ავტომატურად მის დასამარცხებლად გავლების რეჟიმზე გადავიდა .

**მითითება :** იგივე დატვირთვით შემდეგი გარეცხვისას , ნაკლები სარეცხი საშუალება გამოიყენეთ .

## სარეცხის გამოღება / დანადგარის გამორთვა

1. გახსენით შემავსებელი ფანჯარა და გამოიღეთ სარეცხი .
2. პროგრამის შემრჩევი დააყენეთ გამორთვის პოზიციაზე . დანადგარი გამორთულია .
3. დახურეთ წყლის ონკანი .
არ არის საჭირო Aquastop მოდელებისათვის .
შესრულების მოცულობა *** ' მოწოდების მოცულობა ' on page 32 ***

### მითითებები

– არ დაგრჩეთ ბარაბანში სარეცხი . ის შეიძლება შემდეგ სარეცხთან ერთად მოხვდეს ან რაიმე სხვას ფერი შეუცვალოს .
– მოაშორეთ ბარაბანს და რეზინის მანჟეტს სავარაუდო უცხო სხეულები - დაჟანგვის საშიშროება .




